

შპს “ჰიდროტექნოლოგიური ჯგუფი” ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარში)

სარჩევი

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	2
მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	3
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები.....	4

**შპს “ ჰიდროტექნოლოგიური ჯგუფი “ ფინანსური ანგარიშგება 2019
წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარში)**

ფინანსური მდგომარეობა			
ფინანსური მდგომარეობა	31/12/2019	31/12/2018	01/01/2018
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	8836	56789	179534
სავაჭრო მოთხოვნები	62659	64442	0
გადახდილი ავანსები	112128	75000	29976
მარაგები	0	0	0
მზა პროდუქცია	0	0	0
სხვა	0	0	0
საინვესტიციო ქონება	0	0	0
სხვა მიმდინარე აქტივები	0	0	0
ბიოლოგიური აქტივები	0	0	0
თვითღირებულების მოდელით	0	0	0
გადაფასების მოდელით	0	0	0
გუდვილი	0	0	0
სხვა არამატერიალური აქტივები	0	0	0
ძირითადი საშუალებები	202470	218882	197278
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	0	0	0
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	0	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	0	0
სულ აქტივები	386093	415113	406788
ვალდებულებები			
ფინანსური იჯარის ვალდებულება	0	0	0
სავაჭრო ვალდებულებები	427291	17587	32572
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები	0	0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	0	0	0
საგადასახადო ვალდებულებები	0	7915	0
გამოუმუშავებელი შემოსავალი	0	0	0
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	0	0	0
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	0	0	0
მიღებული გრანტები	0	0	0
სხვა ვალდებულებები	114516	0	452448
სულ ვალდებულებები	541807	25502	485020
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში - 'სააქციო კაპიტალი')	0	0	0
საემისიო შემოსავალი	0	0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0	0
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	-155714	389611	-78232
გადაფასების რეზერვი	0	0	0
სხვა რეზერვები	0	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი	-155714	389611	-78232
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	386093	415113	406788

შპს “ ჰიდროტექნოლოგიური ჯგუფი “ ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარში)

საქმიანობის შედეგები		
საქმიანობის შედეგები	2019	2018
ნეტო ამონაგები	1980756	2377904
საქონლის გაყიდვიდან	0	0
მომსახურების გაწევიდან	1980756	2377904
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	0	0
სხვა	0	0
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	0	0
საწყისი მარაგები	0	0
მარაგების შესყიდვა	0	0
გადამუშავების დანახარჯები	0	0
საბოლოო მარაგები	0	0
საერთო მოგება	1980756	2377904
სხვა შემოსავალი	0	0
დასაქმებულთა ანაზღაურება	-684976	-687654
ცვეთა და ამორტიზაცია	-47513	-49743
საპროცენტო შემოსავალი:	0	0
საპროცენტო ხარჯი :	-1460	0
იჯარის ხარჯი	-5722	-7796
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-1786410	-1164868
სულ საოპერაციო ხარჯები	-2526081	-1910061
საოპერაციო მოგება	-545325	467843
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:		
ფინანსური აქტივები	0	0
მარაგები	0	0
სხვა არაფინანსური აქტივები	0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან	0	0
მიღებული დივიდენდები	0	0
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	0	0
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	-545325	467843
მოგების გადასახადი	0	0
მოგება/(ზარალი)	-545325	467843
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალების (მათ შორის ბიოლოგიური აქტივის) გადაფასების რეზერვები	0	0
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების)	0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	-545325	467843
კაპიტალის საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	389611	-78232
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატი	0	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	0	0
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	0	0
კაპიტალის სხვა ცვლილებები	0	0
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	-155714	389611

შპს “ ჰიდროტექნოლოგიური ჯგუფი “ ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ჰიდროტექნოლოგიური ჯგუფი, როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირი, 1994 წლის 28 ოქტომბრის „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად დაფუძნებული იქნა 2007 წლის 7 სექტემბერს.

სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციამ (ქ. თბილისი, საგადასახადო ინსპექცია) მიანიჭა გადასახადების გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი 202416135.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება დაფუძნებული იქნა ფიზიკურ პირი ზურაბ ბარჯაძე (დაბ:1963 წლის 08 სექტემბერს , საქართველოს პირადობის მოწმობის პირადი № 01007000644 , მცხოვრები და რეგისტრირებული შემდეგ საქართველო, თბილისი, დიდუბის რაიონი, წერეთლის გამზირი, №128, ბ. 19. საზოგადოების რეგისტრაციისას კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 200 ლარს.

საზოგადოება დღიდან დაფუძნებისა დარეგისტრირებულია მისამართზე: საქართველო, თბილისი, დიდუბის რაიონი, წერეთლის გამზირი, №128, ბ. 19

საზოგადოების ძირითად საქმიანობას წარმოადგენს წყლის ნაგებობების მშენებლობა რემონტი.

საზოგადოებას შვილობილი კომპანიები, რეგისტრირებული ფილიალები ან/და წარმომადგენლობები არ გააჩნია.

01.01.2019 წლისათვის საზოგადოებაში მუშაობდა 26 თანამშრომელი, ხოლო საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის, 31.12.2019 წლისათვის 30 თანამშრომელი.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულად არის გამოყენებული ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა ინფორმაციაზე, თუ ეს სხვაგვარად არ არის აღნიშნული.

2.1 მომზადების საფუძვლები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის(მსს ფას) შესაბამისად. იგი წამოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც წარმოადგენს საზოგადოების სამუშაო ვალუტას. მსს ფასს სტანდარტის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების წარდგენა მოითხოვს სამეურნეო ოპერაციებისათვის და მოვლენებისათვის სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევასა და თანმიმდევრულ გამოყენებას. კომპანიის მიერ მსს ფასს -ის პირველად გამოყენების თარიღი არის 2019 წლის 1 იანვარი. კომპანია ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს ბუღალტრული

აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ გამოცემული სარეკომენდაციო მითითებების მიხედვით "მესამე კატეგორიის საწარმოებისათვის და მესამე კატეგორიის ჯგუფების 2019 წლის ფინანსური ანგარიშგებისთვის მსს ფასს სტანდარტის პირველად გამოყენებასთან დაკავშირებით" და კომპანიის მიერ წარდგენილი ფინანსური

ანგარიშგება მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2019 წლის დასაწყისისათვის და დასასრულისთვის, 2019 წლის სრული შემოსავლის და საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას, შესაბამის განმარტებით შენიშვნებს და ფულადი ნაკადების ანგარიშგებას.

შპს “ ჰიდროტექნოლოგიური ჯგუფი “ ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარში)

2.2 შემოსავლების აღიარება

შემოსავალი აღიარდება, როცა მოსალოდნელია, რომ კომპანია ეკონომიკურ სარგებელს მიიღებს და შემოსავლის გაზომვა საიმედოდ არის შესაძლებელი. ამონაგების შეფასება უნდა მოხდეს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ხელშეკრულების გათვალისწინებით.

2.2.1 პროდუქციის რეალიზაციიდან/მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავლები

პროდუქციის გაყიდვის/მომსახურების გაწევის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა.

- კომპანია მყიდველს გადასცემს პროდუქციის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკს და სარგებელს;

- შესაძლებელია ამონაგები თანხის საიმედოდ განსაზღვრა;

- მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საზოგადოება მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს;

- შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაღებული ან მომავალ პერიოდში გაწეული ან გასაწევი ხარჯების საიმედოდ განსაზღვრა.

2.3 სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალი საქონლის მიწოდებიდან/მომსახურების გაწევიდან ამონაგებისა და საპროცენტო შემოსავლების გარდა, აღიარდება, როდესაც არსებობს, რწმუნება, რომ საზოგადოება განხორციელებული ოპერაციიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ შეფასება.

2.4 ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში თუ წარმოიშობა ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია ქტივის შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში აღარ არის მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

2.5 სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს პროდუქციისა და მომსახურების შესყიდვის შედეგად წარმოქმნილ ვალდებულებას. კომპანია ვალდებულებას აღიარებს მოკლევადიანად თუ ის იფარება 12 თვის განმავლობაში, სხვა შემთხვევაში ის ითვლება გრძელვადიანად. სავაჭრო ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით.

2.6 გადასახადები

გადასახადები აღიარდება იმ საანგარიშო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას, წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად. საქართველოს საგადასახადო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, შეიცვალა კომპანიების დაბეგვრის ადრე არსებული მოდელი, რომელიც ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან.

ახალი ე.წ. "ესტონური მოდელის მიხედვით, კომპანიებს აღარ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მოგებიდან, მანამ სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება დივიდენდების ან სხვა ფორმით.

2.7 ფული და ფულის ექვივალენტები

შპს “ ჰიდროტექნოლოგიური ჯგუფი “ ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარში)

ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები წარმოადგენს აქტივთა ჯგუფს, რომლის კონვერტირებაც შესაძლებელია წინასწარ განსაზღვრული ღირებულებით. კომპანიის ფული და ფულადი ექვივალენტები მოიცავს ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე.

2.8 სავაჭრო მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები წარმოიქმნება მომხმარებლისთვის პროდუქციის მიწოდებისას ან მომსახურების გაწევისას. კომპანია მოკლევადიან მოთხოვნას აღიარებს იმ შემთხვევაში თუ მისი დაფარვა მოსალოდნელია 12 თვის განმავლობაში, წინააღმდეგ შემთხვევაში ის აღიარდება გრძელვადიან მოთხოვნად.

2.9 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების ღირებულება აქტივად აღიარდება თუ მოსალოდნელია რომ საზოგადოება მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება.

ძირითადი საშუალების ერთეული რომელიც აკმაყოფილებს აქტივის აღიარების კრიტერიუმებს ფასდება მისი თვითღირებულებით. ძირითადი საშუალებების ერთეულის თვითღირებულება განისაზღვრება აღიარების დღისათვის თანადროული გადახდისას გადასახდელი ფასის ექვივალენტით. თუ გადახდა გადავადებულია და საკრედიტო პირობა სცილდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების ფარგლებს, მაშინ ამ თანხასა და მთლიან გადასახდელ თანხას შორის სხვაობა აღიარებული იქნება როგორც საპროცენტო ხარჯი კრედიტის ვადის განმავლობაში, ან მოხდება მისი კაპიტალიზაცია, თუ გადავადებული გადახდა უკავშირდება განსაკუთრებულ აქტივს.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, საზოგადოება ყველა ძირითად საშუალებას აღრიცხავს მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

ძირითადი საშუალების ყოველ ერთეულს ცვეთა ერიცხება ცალ-ცალკე. ყოველი პერიოდის ცვეთის ხარჯი აღიარდება მოგებაში ან ზარალში, აქტივის ცვეთადი ღირებულება ნაწილდება სისტემატურ საფუძველზე, მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, დარიცხვის შემცირებადი ნაშთის მეთოდის გამოყენებით. აქტივზე ცვეთის დარიცხვა მაშინ იწყება, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რაც აუცილებელია აქტივის გამოსაყენებლად, ხელმძღვანელობის მიერ დასახული ამოცანების მიზნებისათვის.

საზოგადოება ძირითადი საშუალების ყოველდღიური საექსპლოატაციო მომსახურების დანახარჯებს აღიარებს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, რომლის განმავლობაშიც ეს დანახარჯები იყო გაწეული.

აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადა გადაისინჯება ყოველი ფინანსური წლის ბოლოს და თუ მოსალოდნელი მნიშვნელოვნად განსხვავდება წინა შეფასებებისაგან, ცვლილებები აისახება როგორც სააღრიცხვო შეფასების ცვლილება. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ამ აქტივის მოსალოდნელი სარგებლიანობით საზოგადოებისათვის.

ძირითადი საშუალების ერთეულის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი აისახება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში. როდესაც აღიარების შეწყვეტა მოხდა. შემოსულობა არ უნდა კლასიფიცირდეს როგორც ამონაგები.

შპს “ ჰიდროტექნოლოგიური ჯგუფი “ ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარში)

ძირითადი საშუალებების ცვეთის დარიცხვა ხდება შემცირებადი ნაშთის მეთოდით:

სატრანსპორტო საშუალებები	20 %
ავეჯი და სხვა ინვენტარი	20%
ოფისის აღჭურვილობა	20%

2.10 სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები შეფასებულია თვითღირებულებასა და მის დასრულებასა დაგაციდვასთან დაკავშირებული ხარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით. მარაგების თვითღირებულების გაანგარიშება ხდება საშუალო შეწონილი მეთოდით.

2.11 მატერიალური აქტივების გაუფასურება

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს კომპანია გადახედავს მატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებას, რომ განსაზღვროს არსებობს თუ არა აქტივების გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში ფასდება ამ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება იმისათვის, რომ განისაზღვროს გაუფასურების მასშტაბი.

თუ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება შეფასებულია, როგორც მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლები, მაშინ აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

თუ გაუფასურების ზარალი შემდგომში შებრუნდება, აქტივის საბალანსო ღირებულება გაიზრდება და შეადგენს მისი ანაზღაურებადი ღირებულების გადასინჯულ ოდენობას, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა, წინა წლებში აქტივზე გაუფასურების ზარალი, რომ არ ყოფილიყო აღიარებული. გაუფასურების ზარალის შებრუნების აღიარება ხდება დაუყოვნებლივ, მოგებაში ან ზარალში.

2.12 ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები აღიარდება მაშინ, როდესაც კომპანია ხდება სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილე მხარე. ფინანსური აქტივები შედგება ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტებისგან და სავაჭრო სხვა მოთხოვნებისგან.

ფინანსური აქტივის აღიარება წყდება, როდესაც: ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების უფლების ვადა გასდის ან ფულადი სახსრები უკვე მიღებულია;

შპს “ ჰიდროტექნოლოგიური ჯგუფი “ ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარში)

2.13 საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება წესდებით, რომლის ცვლილება შესაძლებელია, მხოლოდ დამფუძნებლის გადაწყვეტილებით. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლის რეალური შენატანების მიხედვით.

2.14 დივიდენდები

დივიდენდების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც წარმოშობილია მათი გადახდის იურიდიული მოვალეობა. დივიდენდები აღიარდება, როგორც ვალდებულება და შესაბამისი თანხით მცირდება კაპიტალი.

2.15 ხელფასები

ხელფასები, პრემიები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

3 . მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და კომენტარები

საზოგადოება ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის, რომლებიც დაფუძნებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

3.1 ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითად საშუალებებზე ცვეთისა და ამორტიზაციის დარიცხვა ხდება შემცირებადი ნაშთის მეთოდით . პერიოდულად ხდება შეფასების სისწორის შემოწმება.

4. შემოსავალი რეალიზაციიდან

შემოსავალი 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2019
შემოსავალი გაწეული მომსახურებიდან	1,980,756
სულ შემოსავალი რეალიზაციიდან	<u>1,980,756</u>

შპს “ ჰიდროტექნოლოგიური ჯგუფი “ ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარში)

5 .ადმინისტრაციული ხარჯები

ადმინისტრაციული ხარჯები 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2019
იჯარის ხარჯი	-5,720
ცვეთა და ამორტიზაცია	-47,513
დასაქმებულთა ანაზღაურება	-684,976
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	-25,813
მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ხარჯები	-1,762,059
სულ ადმინისტრაციული ხარჯი	-2,526,081

6.ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები 2019 წლის 31 დეკემბრის და 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2019	1 იანვარი 2019
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	7,870	53190
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	211	57
ნაღდი ფული სალაროში ლარში	755	3542
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	8,836	56,789

შპს “ ჰიდროტექნოლოგიური ჯგუფი “ ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარში)

7.სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2019 წლის 31 დეკემბრის და 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით:

	31 დეკემბერი	1 იანვარი
	2019	2019
სხვა მოთხოვნები	62,659	64,422
გადახდილი ავანსები	112,128	75,000
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	174,787	139,442

8.ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილ იქნას შემდეგი სახით:

	31 დეკემბერი	1 იანვარი
	2019	2019
მანქანა დანადგარები	10,973	2,712
ავეჯი და სხვა ინვენტარი	7,009	4,370
სატრანსპორტო საშუალება	184,488	211,800
წმინდა საბალანსო ღირებულება	202,470	218,882

შპს“ ჰიდროტექნოლოგიური ჯგუფი “ ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარში)

9.ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და გამოსაცემად ნებადართულია მფლობელის მიერ 2021 წლის 24 თებერვალს.

**შპს“ჰიდროტექნოლოგიური ჯგუფი“
ფინანსური ანგარიშგება**

საანგარიშო წლისათვის, რომელიც

დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს

შპს“ჰიდროტექნოლოგიური ჯგუფი“ ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის
მდგომარეობით(ლარში)